გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 169

2023 წლის 8 სექტემბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ის (შპს „მედიქალ ცენტრის“ შენობა) მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს „მედიქალ ცენტრის“ (ს/ნ 417883945) დირექტორის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ის წინ სისტემატიურად, დღე-ღამის განმავლობაში დგანან ე.წ. ტრანზიტული სანომრე ნიშნის ავტომობილები, რაც იწვევს შპს „მედიქალ ცენტრის“ მუშაობის შეფერხებას.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ის (შპს „მედიქალ ცენტრის“ შენობა) მიმდებარედ განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფა): 8.5.4.-„მოქმედების დრო“ 19:00-08:00 და „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ის (შპს „მედიქალ ცენტრის“ შენობა) მიმდებარედ განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფა): 8.5.4.-„მოქმედების დრო“ 19:00-08:00 და „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

1. ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩა №63-ის (შპს „მედიქალ ცენტრის“ შენობა) მიმდებარედ განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფა): 8.5.4.-„მოქმედების დრო“ 19:00-08:00 და „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**